გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება № 28

2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 11/12/2023, 010250050.35.148.016776).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი (შემდგომში „წესი“) განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტში (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

თავი I

სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიები და დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

მუხლი 1. ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება

1. ამ მუხლით დახმარების მიმღები არის ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფი.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მიმართავს მუნიციპალიტეტს სოციალური დახმარების მოთხოვნით და წარმართავს მასთან ურთიერთობებს) გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;
ე) საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული საგარანტიო ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

4. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს), ამ მუხლში აღნიშნული დაავადების მკურნალობის ფარგლებში, გაეწევა შემდეგი სახის დახმარება:
ა) ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფების სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე;
ბ) ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარული) მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება, მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს არაერთჯერადად, სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.

მუხლი 2. ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფის მედიკამენტებით, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

1. ამ მუხლით დახმარების მიმღები არის ონკოლოგიური (კოდი (ICD-10) C00-დან C97-ის ჩათვლით; კოდი (ICD-10) D00-დან D09-ის ჩათვლით) ავადმყოფი.
2. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე, ამ მუხლში აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობის ფარგლებში.
3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მიმართავს მუნიციპალიტეტს სოციალური დახმარების მოთხოვნით და წარმართავს მასთან ურთიერთობებს) გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან.
4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელთა საცხოვრებელ ადგილად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელი დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კონტინგენტია და მათზე გაიცემა შემდეგი სამედიცინო დახმარება:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა და ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, დაფინანსება განესაზღვროთ არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე;

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა, სამედიცინო სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარული) მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან განესაზღვროთ არაერთჯერადად, პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა, ოპერაციის შემდგომი და პოსტტრავმული რეაბილიტაციის (ერთჯერადად არაუმეტეს 15 პროცედურა) დაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან განესაზღვროთ არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის – 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;

გ) ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული საგარანტიო ფურცელი (მისი არსებობის შემთხვევაში);

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სოციალური დახმარების გაწევის შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება კვლევას ახორციელებს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და სამედიცინო დაწესებულებას შორის ანგარიშსწორების განხორციელებამდე, დაწესებულებამ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ქვეკონტრაქტორი დაწესებულების შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და ჩატარებული კვლევების კალკულაცია და გადახდის ქვითარი.

4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა

1. მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კონტინგენტია:

ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები;

ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პარკინსონიზმით დაავადებული პაციენტები.
2. მედიკამენტებით დახმარება გაეწევა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 0-დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე შემდეგი კატეგორიის იმ ბენეფიციარებს, რომელთა საცხოვრებელ ადგილად სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში განსაზღვრულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია:
ა) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულ პირებს;
ბ) შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით დაავადებულ პირებს;
გ) ბრონქიალური ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პირებს;
დ) ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე პირებს;
ე) თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომა) მქონე პირს სამედიცინო კოდი H40-დან – H42 ჩათვლით; H42*;
3. მედიკამენტებით დახმარება, თითოეული დაავადების მკურნალობის ფარგლებში, გარდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებისა, გაეწევათ ამ მუხლით მოსარგებლე ბენეფიციარებს არაერთჯერადად, წლიური ლიმიტის – 300 (სამასი) ლარის ამოწურვამდე.
4. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა (ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მიმართავს მუნიციპალიტეტს სოციალური დახმარების მოთხოვნით და წარმართავს მასთან ურთიერთობებს) წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან ამონაწერი რეგისტრაციის ადგილიდან ან/და იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან;
5. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 5. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, კაზაბახ-მერიტის სინდრომით არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და გაფანტული სკლეროზით (რეციდიული-რემისიული-პროგრესივი ფორმა EDSS4.0) დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება

1. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ჰიდროცეფალიით და ოჯახური

ხმელთაშუაზღვის ცხელებით (გარდა ცელიაკიით და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების) სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების, ადაპტური ტექნოლოგიების, მედიკამენტების, დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 500 (ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.

2. ცელიაკიით (ICD K90.0) და ფენილკეტონურიით (ICD E70.0; E70.1) დაავადებული ადამიანების სარეაბილიტაციო საჭიროებების დაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ამოწურვამდე.

3. ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ცელიაკით, ფენილკეტონურიით, ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და (0-დან 18 წლამდე) კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4. (0-დან 18 წლამდე) აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1; F84.9) ბავშვების სამედიცინო სტაციონარული ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.

5 . (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო მომსახურება თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.

6. გაფანტული სკლეროზის (G 35) დიაგნოზის მქონე, უნარშეზღუდულობის შკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მინიჭებული ბენეფიციარების სამედიცინო კვლევების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტი 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.

7. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ასლი;

გ) ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;

ე) დაბადების მოწმობის ასლი;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, დახმარების მიმღები სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის საბანკო ანგარიში.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ასევე საზღვარგარეთ მისაღები მკურნალობისთვის.

9. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე ან/და შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 6. დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება

1. დიალიზზე მყოფი დაავადებული ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამომდინარე და გადაადგილების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შეზღუდვის შემთხვევაში, დიალიზზე მყოფი დაავადებული ადამიანების ყოველთვიური (თვეში ერთხელ) ფულადი დახმარება განისაზღვროს:
ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ პირებისათვის, რომელთა რეგისტრაციის მისამართიდან იმ სამედინიცინო დაწესებულებამდე, რომელიც ახორციელებს დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამას, დაშორება შეადგენს 5 (ხუთი) კილომეტრზე მეტს – 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ პირებისათვის, რომელთა რეგისტრაციის მისამართიდან იმ სამედინიცინო დაწესებულებამდე, რომელიც ახორციელებს დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამას, დაშორება შეადგენს 5 (ხუთი) კილომეტრზე ნაკლებს – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ამონაწერი ან/ და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) დაბადების მოწმობის ან/და ქორწინების მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);
ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.
4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 7. სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება

1. 1. II და III ხარისხის სქოლიოზით დაავადებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე (0-დან 18-წლამდე) ბენეფიციარის სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის – 500 ლარის ფარგლებში (თითო ჯერზე გათვალისწინებულია არაუმეტეს 10-15 პროცედურა).
2. წლის განმავლობაში არაერთჯერადად არაუმეტეს წლიური ლიმიტის – 300 (სამასი) ლარის ამოწურვამდე დახმარებას საცურაო აუზით სარგებლობისთვის მიიღებენ II და III ხარისხის სქოლიოზით (0-დან 18-წლის ჩათვლით) დაავადებული ბენეფიციარები, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.
3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა II-III ხარისხის სკოლიოზით დაავადების შესახებ (ფორმა №100), გაცემული უნდა იყოს ბოლო ერთი წლის მანძილზე ორთოპედ-ტრავმატოლოგის მიერ;
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან – საცურაო აუზის მფლობელისაგან;
ე) დაბადების მოწმობის ან/და დევნილის მოწმობის ასლი;
4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით დაწესებულების შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ერთჯერადად გაეწევათ სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და მინიჭებული აქვთ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით, ან/და აქვთ მოპოვებული 50% და 70% სახელმწიფო გრანტი სწავლის დაფინანსებაზე.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) ცნობა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მათზე, სახელმწიფო დაფინანსების არარსებობის ან/და ნაწილობრივი დაფინანსების, თანხის ოდენობის და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეკვიზიტების შესახებ;
გ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომელშიც საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
4. შეზღუდული შესაძლებლობის მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელმაც 2025 წელს ჩააბარა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე, საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პერიოდში დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
5. შეზღუდული შესაძლებლობის მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელმაც 2025 წელს ჩააბარა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე, საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პერიოდში, დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.
6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ასევე იმ სტუდენტს, რომელიც სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე საბაკალავრო საფეხურზე და 2024 წელს ისარგებლა გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დახმარებით.

7. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) ცნობა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
გ) ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტების შემთხვევაში – სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;
დ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;
ვ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.
8. ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით გაეწევათ ოლიმპიური სახეობების საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა.
9. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) ცნობა შესაბამისი ფედერაციიდან ეროვნული ნაკრების წევრობის შესახებ;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად დაფიქსირებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი.
10. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკში გახსნილ ბენეფიციარის პირად ანგარიშზე.

მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

1. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:
ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
გ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
დ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
ე) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;
ვ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი საცხოვრისით ან მერიის მიერ ქირით უზრუნველყოფილ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
ზ) გორის მუნიციპალიტეტში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ, მიუსაფარ, უსახლკაროდ დარჩენილ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციერასის ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის (გარდაცვლილის ოჯახის წევრი) განცხადება მერის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;
დ) გარდაცვლილის რეგისტრაციის ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
ე) ინფორმაცია მერის წარმომადგენლისაგან გარდაცვლილის უპატრონობის ან/და ოჯახის უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ;
ვ) გარდაცვლილის ვეტერანის მოწმობის ასლი;
ზ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;
თ) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარდაცვლილთან ნათესაურ კავშირს. გარდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მომსახურების გასაწევად;
ი) ცნობა მუნიციპალიტეტის მერიიდან პირის დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ;
კ) საჯარო რეესტრის ან/და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ქირავნობის ხელშეკრულება, დადებული ბენეფიციარსა და გამქირავებელს შორის.
3. თანხა გაიცემა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით.
4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სარგებლობის შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, დამკძალავი ბიუროდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

მუხლი 10. დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები

1. დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტს დახმარება გაეწევა ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
3. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ/მზრუნველმა ან/და იმ ბავშვების მეურვემ/მზრუნველმა, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (მეურვის/ მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ბენეფიციარის მეურვის/მზრუნველის ვინაობის შესახებ;
დ) ცნობა მშობლების უფლება-მოვალეობების შეზღუდვის შესახებ;

ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
ვ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან.
ზ) ბავშვის ან/და ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები;
თ) განმცხადებლის (მეურვის/ მზრუნველის) საბანკო ანგარიში.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის სარგებლობის შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
5. ამ მუხლის მეორე პუნქტის სარგებლობის შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დახმარების მიმღების (მეურვის/ მზრუნველის) პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება

1. ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, დამდგარი ზარალის შეფასების მიხედვით.
2. ხანძრების (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებულ ოჯახებს მიეცეთ ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით არაუმეტეს 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.
3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში;
დ) ხანძრის შემთხვევაში ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან;
ე) ექსპერტიზის დასკვნა წარმოშობილი ხანძრის (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) მიზეზის დასადგენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის გორის რაიონული სამმართველოდან;
ვ) ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია მერის წარმომადგენლისაგან.
4. ბუნებრივი მოვლენების შემთხვევაში, საცხოვრებელ ბინებზე ზარალის მიყენების ფაქტს ადასტურებს და ზიანის ოდენობას განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს საქონლის მოქმედი საბაზრო ფასებით.
5. ხანძრის (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობას განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქონლის მოქმედი საბაზრო ფასებით.
6.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით დახმარების მიმღების პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 12. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე პირების სოციალური დახმარება

1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად, 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარები:
ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.
2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დამატებით ერთჯერადად დახმარებას მიიღებენ:
ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი);
ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (9 მაისი);
გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, „ვეტერანის დღესთან“ დაკავშირებით (17 ოქტომბერი).
3. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/ და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) საქართველოს სამხედრო ძალებისა და ომის ვეტერანის მოწმობის ასლი;
ე) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში.
4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 13. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

1. ერთჯერადად მე-3 შვილის შეძენაზე დაფინანსებას მიიღებენ:
ა) 300 (სამასი) ლარის ოდენობით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 120000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 0-დან 18 წლამდე 3-შვილიანი ოჯახები, რომლის ერთ-ერთი მშობელი და შვილები ცხოვრობენ და რეგისტრირებული არიან გორის მუნიციპალიტეტში;
ბ) 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 120000 დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის

მქონე 0-დან 18 წლამდე 3-შვილიანი ოჯახები, რომლის ერთ-ერთი მშობელი და შვილები ცხოვრობენ და რეგისტრირებული არიან გორის მუნიციპალიტეტში.
2. ერთჯერადად მე-4 შვილის შეძენაზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ ოჯახები, რომლის ერთ-ერთი მშობელი და შვილები ცხოვრობენ და რეგისტრირებული არიან გორის მუნიციპალიტეტში.
3. ერთჯერადად (თითო ბავშვზე) 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18 წლამდე 5 და მეტშვილიანი ოჯახები, რომლის ერთ-ერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებული არიან გორის მუნიციპალიტეტში.
4. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) განმცხადებლის/მშობლის პირადობის მოწმობების ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) შვილების დაბადების მოწმობების ასლები;
დ) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში;
ე) ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომელშიც მშობლების საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი;
ვ) შვილების რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი.
5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ერთ-ერთი მშობლის პირად საბანკო ანგარიშზე.
6. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნით, დეკემბერში დაბადებული მე-3 შვილის შეძენისას, იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელს არ უსარგებლია 2024 წლის პროგრამის ფარგლებში ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დახმარებით, მაძიებელმა მერიას განცხადებით უნდა მიმართოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 მარტისა.

მუხლი 14. ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება

1. ერთჯერადად, 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/ და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დახმარების მიმღების პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით

1. რეინტეგრაციაში მყოფ ბავშვებს (ბენეფიციარებს) დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
2. დახმარების მისაღებად ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან/ და ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან ბავშვის რეინტეგრაციაში ყოფნისა და დადგენილი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მეურვე, მზრუნველი) ვინაობის შესახებ;
დ) ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 16. მარტოხელა მშობლის დახმარება

1. ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 0-დან 18 წლამდე ბავშვის/ბავშვების მშობელი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში, მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები და მინიჭებული სარეიტინგო ქულაა 0-დან 150000-ის ჩათვლით.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ბავშვის ან ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები;
დ) საბანკო ანგარიში;
ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი;
ვ) გადაწყვეტილება ან/და ცნობა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების შესახებ.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (ბენეფიციარებს) ფულადი დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრიდან ან/და გენდერული თანასწორობის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობისა და/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფისგან;
დ) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება

1. გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკაროდ დარჩენილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიუსაფარი ოჯახების ქირით უზრუნველყოფა განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართში წლის განმავლობაში ფულადი დახმარების გზით თვეში 200 ლარის ოდენობით.
2. ამ მუხლის ფარგლებში ბენეფიციარის შესწავლა/წარდგენა მოხდება გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
3. მოქალაქემ გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა;
გ) გამქირავებლის საბანკო ანგარიშის მონაცემები;
დ) საჯარო რეესტრის ან/და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ქირავნობის ხელშეკრულება, დადებული ბენეფიციარსა და გამქირავებელს შორის;
ე) ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი;
ვ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, განმცხადებლის და მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის სახელზე ქონების რეგისტრაციის შესახებ;
ზ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განმცხდებლის და ოჯახის წევრის სახელზე არსებული შემოსავლების შესახებ;
თ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
ი) შეზღუდული შესაძლებლობის პირის შემთხვევაში სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი.
4. მერის წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) მოხსენებითი ბარათი მერის სახელზე (ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ჩართულობას აღნიშნულ საკითხში). მოხსენებითი ბარათი და აქტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ოჯახის ყველა წევრის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) ოჯახის უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად, გამქირავებლის პირად საბანკო ანგარიშზე.
6. ამ მუხლით ისარგებლებს მხოლოდ ის ბენეფიციარი, რომელიც გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრიტებულია და ცხოვრობს ბოლო 2 წლის განმავლობაში.
7. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნის თაობაზე განცხადება არ განიხილება ან დახმარების გაწევა შეწყდება პირის/ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოების გამოვლენისას, რაც ადასტურებს განმცხადებლის შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით საკუთარი შესაძლებლობებით ან მის მიმართ ვრცელდება მესამე პირის ვალდებულება საცხოვრისით უზრუნველყოფაზე.

მუხლი 19. მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
2. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატულ (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ერთჯერადად ფულადი დახმარება გაეწიოთ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
3. სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
4. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის (უსინათლო) შემთხვევაში – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მხედველობის გამო მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ფორმა №50;
დ) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში;
ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი;

ვ) ყრუ-მუნჯობის შემთხვევაში ექიმი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა.
5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 20. 2025 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება

1. ერთჯერად სოციალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგების, რეგისტრაციის და დავალიანებების დაფარვის მიზნით (ქონების რეგისტრაცია; კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება; კომუნალური გადასახადების (დავალიანება, დაფარვა) მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 2025 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულები.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისი ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა სასჯელაღსრულების ან/და შესაბამისი დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ;
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;
3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამუშაოს შემსრულებელი დაწესებულების შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 21. გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა

1. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა განხორციელდება 2025 წლის განმავლობაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
2. მოქალაქემ გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა;
გ) დახმარების მიმღების ოჯახის წევრების დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, დახმარების მიმღების და მისი ოჯახის წევრის სახელზე ქონების რეგისტრაციის შესახებ;
ე) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დახმარების მიმღების და ოჯახის წევრის სახელზე შემოსავლების შესახებ;

ვ) ინფორმაციას რეგისტრაციის ადგილის თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;
ზ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი.
3. მერის წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:
ა) მოხსენებითი ბარათი მერის სახელზე (ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ჩართულობას აღნიშნულ საკითხში); მოხსენებითი ბარათით მერი წარმომადგენელმა უნდა დაადასტუროს, რომ ოჯახს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ფართი;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) ოჯახის უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. ამ მუხლის საფუძველზე, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა განიხილება მხოლოდ ისეთი დროებითი საცხოვრებლით, რომელიც მიწასთან მყარად არ არის დაკავშირებული და იმ ოჯახებისთვის/პირებისთვის, რომელთაც გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღნიშნული დროებითი საცხოვრისის განსათავსებლად საჯუთრებაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი.
5. საკითხის შემდგომი განხილვა ხდება „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი ან/და კაპიტალური საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №60 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის შესაბამისად, „გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსახლკარო/მიუსაფარი პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით" შექმნილი სამუშო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის ოქმის საფუძველზე.
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მერიის მიერ განხორციელდება დროებითი საცხოვრებელი ფართის შესყიდვა.

მუხლი 22. 2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება

1. მოქალაქეებს, რომლებიც გავიდნენ სახელმწიფო ზრუნვიდან, სოციალური დახმარება განესაზღვროდ არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 350 (სამასორმოცდაათი) ლარის ამოწურვამდე, სხვადასხვა საჭიროებების მათ შორის მიმდინარე დავალიანებების დაფარვის მიზნით (ქონების რეგისტრაცია; კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება; კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა; შრომითი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ღირებულების ანაზღაურება (მართვის მოწმობა და სხვა საჭიროება) ერთი წლის განმავლობაში არაერთჯერადად თანხის ამოწურვამდე, მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე რეგისტრირებული პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და 2021 წლის 1 იანვრიდან გავიდა სახელმწიფო ზრუნვიდან.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან, სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შესახებ.
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;
3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 23. ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება

1. წლის განმავლობაში ერთჯერად დაფინანსებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად), რომელიც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში.
2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის/დაბადების მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) ფსიქოლოგის დასკვნა და რეკომენდაცია ფსიქორეაბილიტაციის საჭიროებაზე.
დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან/და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;
3. ბენეფიციარის მიერ პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფსიქორეაბილიტაციის საჭიროების თაობაზე დასკვნას და რეკომენდაციას გასცემს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი.
4. დახმარების მისაღებად გორის მუნიციპალიტეტის მერი გასცემს საგარანტიო წერილს, რომელიც შესაბამისი დაწესებულებისთვის მომსახურების გაწევის საფუძველია.
5. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების დაწესებულების შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 24. სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 120 000 ქულის ჩათვლით) თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამაში“ მონაწილეობის მიღებისას გადახდისუუნაროები არიან, სრულად უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება გორის მუნიციპალიტეტი;
დ) ამხანაგობის/ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების გადაწყვეტილება (კრების ოქმის ჩანაწერი)კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;
ე) ამხანაგობის მიერ დაფინანსებულ ჯამურ თანხაში განმცხადებლის წილობრივი თანხის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამხანაგობის მიერ გაცემული ცნობა ან ჩანაწერი კრების ოქმში).
3. ანაზღაურება მოხდება ამხანაგობის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 25. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება

1. ეს მუხლი ვრცელდება გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ მოქალაქეებზე, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიმართვის დროს საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახის დახმარების ოდენობა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ, არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება გორის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ბანკში გახსნილი განმცხადებლის პირადი ანგარიშის ან/და შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშის მონაცემები;
დ) ინფორმაცია/დოკუმენტაცია ოჯახის შემადგენლობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ.
4. ანაზღაურება მოხდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების და ამ განცხადების შესწავლის შედეგად გორის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის, ასევე, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ განმცხადებლის პირად ანგარიშზე ან/და შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

თავი II

სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 26. სოციალური დახმარების დანიშვნა, გაცემა და სამენეჯმენტო კონტროლი

1. გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების წესით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნის, გაცემის და ამ პროცესებზე სამენეჯმენტო კონტროლს უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).
2. სამსახური პასუხისმგებელია ასევე ამ წესით გათვალისწინებული დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე.
3. სამსახური ამოწმებს მერიაში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. შემოწმების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია, სამსახური ამზადებს გადაწყვეტილების დოკუმენტის პროექტს მერისათვის წარსადგენად, გარდა ამ წესის მე-11, 21-ე და 25-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში, ხოლო შემოსულ განცხადებებში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ მიმართავს განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად.
4. ამ წესის მე-11, 21-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შესახებ განხილვის შემთხვევაში სამსახური ამოწმებს მერიაში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. შემოწმების შემდგომ სრულყოფილი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში სამსახური მასალებს შემდგომი განხილვისათვის გადასცემს მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სამუშაო ჯგუფს.
5. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატიურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან დახმარების გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა და ა.შ.
6. ამ წესით გათვალისწინებულ განმცხადებლის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100 გაცემული უნდა იყოს ბოლო 1 წლის მანძილზე.

მუხლი 27. სამუშაო ჯგუფის უფლებაუნარიანობა

1. სამუშაო ჯგუფი იქმნება გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ამ წესის მე-11, 21-ე და 25-ე მუხლებით განსაზღვრული საკითხების განსახილველად. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით.
2. სამუშაო ჯგუფის მუშაობა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით.
3. სამსახურის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის სხდომის ადგილის, დროისა და თარიღის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის წინასწარ, შვიდი დღით ადრე განთავსებას მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო სტენდზე.
4. სამუშაო ჯგუფი მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს ამ დადგენილებით, საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსითა“ და საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.
5. სამუშაო ჯგუფის მიერ საკითხის გადაწყვეტა ხდება მკაცრად ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე.

მუხლი 28. სამუშაო ჯგუფის ოქმები და დასკვნები

1. სამუშაო ჯგუფის ყოველი სხდომისას დგება შესაბამისი ოქმი;
2. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.
3. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები იკრიბება ცალკე საქაღალდეში, რიგითობის მიხედვით.
4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმების სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სამსახურის უფროსი.
5. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მიიღება დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის წევრის აზრი დაერთვება დასკვნას.
6. სამუშაო ჯგუფის დასკვნას სამსახურის უფროსი გადასცემს მერს.

მუხლი 29. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის ბრძანების საფუძველზე, ხოლო ამ წესის მე-11, 21-ე და 25-ე მუხლების გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების დოკუმენტის პროექტისა და მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 30. სოციალური დახმარების გაცემის დაუშვებლობა

დაუშვებელია ამ წესის მე-5 მუხლით მოსარგებლე ბენეფიციარების მიერ შემოტანილი განცხადებების დაკმაყოფილება იმ შემთხვევაში, თუ ისინი 2025 წლის 1 იანვრამდე არ იყვნენ რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის მიერ გორის მუნიციპალიტეტში.

სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი

„გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის საჭიროება.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:
გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემა.

გ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით განისაზღვრება გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობები, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიები, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეები და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობები.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
პროექტის მიღებას გავლენა არ ექნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნულ პროექტზე გათვალისწინებულია 3 000 890 ლარი, შესაბამისად, ბიუჯეტის ამ რედაქციით დამტკიცების შემთხვევაში, ხაჯვითი ნაწილიც აღნიშნული თანხით განისაზღვრება.

3. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

4. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

დადგენილების პროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

5. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტის დამტკიცება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე.

6. პროექტის მომზადების პროცესი

ა) პროექტის ავტორი:
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი

ბ) პროექტის ინიციატორი:
გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

21 ნოემბერი, 2024 წ.